ლერი ჩანტლაძე

ღამის სტუმარი

გამომცემლობა „დანი“

2015



ჯუმბერ ჩანტლაძე. 1955 წ.

ჯუმბერ ჩანტლაძე. 1961 წ.

ჩემი ბიძაშვილი ჯუმბერი

„ბიძაშვილი“ სულაც არ გახლავთ სიმბოლური შინაარსის, ჯუმბერიც, ჩემი არ იყოს, ჩანტლაძეა და წარმოშობითაც გურიის ერთი მთის ცეროდენა სოფლის ერთი მტკაველი მიწიდან მოვდივართ. ნურც ე.წ. ნეპოტიზმში დამდებთ ბრალს. ჯუმბერი იმდენად გამორჩეული პიროვნებაა, სულაც რომ ქერდიყოშვილი ან ჯაჭვლიანი ყოფილიყო (ან მე ვყოფილიყავი) მაინც იგივეს ჩამოგიკაკლავდით ამ „კომბლეკაცზე“ (ეს სიტყვა პოეტ ზაურ ბოლქვაძეს დავესესხე). ერთი სიტყვით, მე მოგიყვებით ამ საკვირველ ადამიანზე, თავადაც ისაუბრებს და მეგობრებსაც მივცემ სიტყვას.

ლერი ჩანტლაძე

რეკორდმაისტერი

როგორც ცნობილია, მედიცინის სფეროში რეკორდები არ ფიქსირდება, მაგრამ გინესის წიგნში გაიელვებს ხოლმე მიახლოებული შედეგები. ჯუმბერ ჩანტლაძის საექიმო კარიერაში დაფიქსირებული შედეგები ბუნებრივად „თხოულობენ“ გინესის წიგნში შეტანას.

მხოლოდ ალჟირში, ორი წლის განმავლობაში, ორი ათასამდე კონსულტაცია და ათას ორასამდე ოპერაცია ჩაატარა. გაითვალისწინეთ, რომ ჯუმბერს კლინიკაში მუშაობის ორმოცდაათ წელზე მეტი სტაჟი აქვს.

ყველაზე უფრო შთამაგონებელი, შეიძლება ითქვას, განსაცვიფრებელია, მის მიერ ადამიანის ორგანოთა და მათი ნაირგვარი პათოლოგიების ოპერირება. ამ ვირტუოზმა დასტაქარმა თითქმის ოთხი ათეული სახეობის ოპერაცია ჩაატარა. მხოლოდ და მხოლოდ თავის ტვინს არ შეხებია.

ამ ციფრთან მიახლოება თვით ისეთ განთქმულ, ადამიანის ანატომიის უღრმეს მცოდნეს, უბრწყინვალეს დასტაქარს, ალექსანდრე ბეთანელს, გაუჭირდება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჯუმბერ ჩანტლაძე არა მარტო

მედიცინის დარგშია რეკორდმაისტერი და გინესის წიგნში დასაფიქსირებელი. ვინ აღრიცხავს ზნეობრივ, ადამიანურ რეკორდებს. მის ირგვლივ მყოფნი ისე მიეჩვივნენ დასტაქრის და პიროვნების არაორდინარულ „გამოხდომებს“, რომ აღარც აკვირვებდათ. მუდამ ხალისიანი, იუმორით სავსე, შეჭირვებულის გვერდით დასადგომად შემართული. თუკი სადმე სუფრა გაიშლებოდა, მაგიდის თავში ცარიელი სკამი მას ელოდებოდა. სხვათა გაჭირვების ტალკვესი ლხინშიც უებრო იყო. მისი წკრიალა ტენორის ხვეულები ხომ გულისგულში სწვდებოდა მსმენელს.

ამჯერად ჯუმბერ ჩანტლაძისგან კიდევ ერთ რეკორდს ელოდებიან: სამნიშნა ციფრს, რომელიც მისი სიცოცხლის ხანგრძლიობას დააფიქსირებს.

პროფესიონალი

როგორც წესი, პროფესიონალსა და სპეციალისტს არ განასხვავებენ, ორივე ცნებაში ერთსა და იმავე შინაარსს მოიაზრებენ. ჩემი შეხედულებით, მათ შორის მნიშვნელოვანი, თუ პრინციპული არა, განსხვავება უნდა იყოს. სანამ ჩემს აზრს მოგახსენებდეთ, ქაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ჩავიხედოთ: „სპეციალისტი – ადამიანი, რომელსაც სპეციალური ცოდნა აქვს მეცნიერების ან ტექნიკის რაიმე დარგში; რაიმე სპეციალობის წარმომადგენელი“.

„პროფესიონალი – პირი, რომელმაც რაიმე საქმიანობა გაიხადა თავის პროფესიად, ვინც მუდმივად ეწევა რაიმე საქმიანობას, მოღვაწეობას.“

ზერელე დაკვირვებთაც შესამჩნევია ამ ორ განსაზღვრებას შორის განსხვავება. კერძოდ: ვიწრო სპეციალისტისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, ე.წ. მოღვაწეობა მეორეხარისხოვანია. მისი საქმე, შესრულებული სამუშაო, პირდაპირ დამოკიდებულებაშია ანაზღაურებასთან, გასამრჯელოსთან. ვიწრო სპეციალისტს არ ადარდებს სამუშაოსთან დაკავშირებული ჰუმანიტარულ-ზნეობრივი პრობლემები. მთავარია, მომგებიანი დაკვეთა შეასრულოს. სპეციალისტი ხშირად ისეთ მომხვეჭელად

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი 1958 წ.

იქცევა, რომლისთვისაც ტყუილი და დაპირების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობა ცხოვრების წესი გახდა. კიდევ სხვა ნიუანსების მოძიებაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

რაც შეეხება პროფესიონალს, სრულიად ვეთანხმები ლექსიკონურ ვერსიას, სადაც ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს პროფესიონალის მიერ საკუთარი თავის და საქმიანობის საზოგადოებრივ ყოფაში ორგანულად ჩართულობა წარმოადგენს. შემთხვევით არ არის ნახმარი „მოღვაწეობაც“. ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ გარემოებას, თუ დამეთანხმებით, დავამატებდი: ქეშმარიტი პროფესიონალი, ვიწრო სპეციალისტისგან განსხვავებით, იმ საქმის ფანატიკოსია, რომელშიც დახელოვნებულია და რომლის გარეშეც მისი ცხოვრება აზრდაცლილი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, წინა პლანზე გამოდის ზნეობრივი ფაქტორი: ქეშმარიტი პროფესიონალი არა მარტო საკუთარ თავსა და ოჯახზე, არამედ თანაბრად ზრუნავს სხვებზე, უცნობ-ნაცნობებზე, ხშირად საკუთარი ინტერესების საზიანოდ. კიდევ ერთხელ მოვიხსენიოთ ის ქართველი პროფესიონალი, რომელმაც თვითმფრინავის მოსალოდნელი კატასტროფის დროს საკუთარი სიცოცხლის ფასად ბავშვისა გადაარჩინა.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია ისეთი პროფესიებისათვის, როგორიც გახლავთ მედიცინა, სამართალი და პედაგოგიკა.

წინამდებარე მსჯელობა, თავად ხვდებით, რატომ დამჭირდა: ასეთ პროფესიონალად მიმაჩნია ხელოვანი დასტაქარი ჯუმბერ ჩანტლაძე.

ეს რომ ასეა, გზადაგზა გახდება ცხადი.

სახალხო არტისტი ჯემალ ღაღანიძე

– ჩვენი მეგობრობა საბავშვო ბაღიდან მოდის. რაღა თქმა უნდა, სკოლის წლებშიც გაგრძელდა. სკოლა ერთი გვქონდა: ოცდამეთორმეტე, ყოფილი ანაგის ქუჩაზე, ახლა ჟვანიასია. მე ორიოდე კლასით წინ ვიყავი, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობას ხელს არ უშლიდა. საკუთარ მომავალს განსხვავებულად

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი 1965 წ.

ვხედავდით: მე იმთავითვე მსახიობობაზე ვოცნებობდი, ჯუმბერი თავს თეთრხალათიან მედიკოსად ჭვრეტდა. მეცხრე კლასი რომ მოვამთავრე, ოცდამეთორმეტე დავტოვე და არ გაგიკვირდეთ, საინგილოში გავაგრძელე სწავლა. მიზეზი მარტივი და იოლად ასახსნელია: თეატრალურზე მიღება წელგამოშვებით იყო. მე რომ თერთმეტი კლასი დამემთავრებინა თბილისში, ერთი წელი უნდა გამცდენოდა. საინგილოში კი ათწლედი იყო ძველებურად. დავამთავრე, მისაღები გამოცდები „დავიჭირე“, როგორც ძველად ამბობდნენ, რუსულის გავლენით და ოცნება ავისრულე – თეატრალურის სტუდენტი გავხდი. ჯუმბერიც უპრობლემოდ გახდა სამედიცინოს სტუდენტი, პედიატრიის განხრით.

სულ მალე ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთა, ძმობა და მეგობრობა გაგრძელდა და როგორც იცით დღემდე გრძელდება.

– თქვენ ბრძანეთ, რომ ჯუმბერმა პედიატრიის სტატუსით დაამთავრა სამედიცინო, სახელი კი გაითქვა, როგორც უებრო დასტაქარმა.

– საქმე ის გახლავთ, რომ შემდგომში კვალიფიკაციის კურსები დაამთავრა ქირურგიაში, სრულიად გამართლებული მიზეზის გამო: არ ვიცი, რამდენად იტაცებდა ქირურგობა, მაგრამ როცა ალჟირში სამუშაოდ წასვლის შანსი გაჩნდა, ხელიდან როგორ გაუშვებდა. როგორც ხვდებით, მოთხოვნა ანუ ლიმიტი ქირურგზე იყო. სანამ ჯუმბერის სამედიცინო სფეროში მოღვაწეობაზე ვიტყოდე ორიოდ სიტყვას, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ეს უნიკალური ადამიანი ჩემი კოლეგაა, დიახ, როგორც შესანიშნავი მსახიობი.

ჯერ კიდევ მეათე თუ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე იყო, როცა მუსკომედიის თეატრის რეჟისორ გაიოზ ქართველიშვილთან ერთ პურღვინოზე მოუწია მოლხენა. როცა გაიოზმა მის ანკარა ვოკალს, მის ქცევას და სიტყვა-პასუხს მოუსმინა, შესთავაზა პრემიერაში მონაწილეობა. გაიოზის ჩანაფიქრი გახლდათ ძველი და ახალბედა მსახიობების ერთობლივი მონაწილეობით სპექტაკლის დადგმა. პირველ მოქმედებაში ძველი, აღიარებული, მსახიობები თამაშობდნენ, მეორე მოქმედებაში კი – ახალბედები. თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად გამოუცდელი მოსწავლე უნდა ყოფილიყო, არც მეტი, არც ნაკლები, თეატრის პრემიერის, მუსკომედიის „ხორავად“ მიჩნეული ბრწყინვალე მსახიობის, ნიკოლოზ მოსეშვილის, დუბლიორი. ჯუმბერი არ შედრკა და

ინფექციური საავადმყოფო. 1957 წ.

შესანიშნავად ითამაშა, პრემიერაზე არანაკლებად. ის კი არა, მე მგონი, მაყურებელმა იგი უფრო მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ჯუმბერმა რამდენიმე სპექტაკლი ითამაშა და სცენას გამოეთხოვა.

– ბატონო ჯემალ, ნათქვამია, ვინც ერთხელ მაინც ჩაისუნთქავს კულისების და სცენის მტვერს, ბოლო ამოსუნთქვამდე თეატრის ბინადარი დარჩებაო.

– მართალს ბრძანებთ, შორს რომ არ წავიდეთ, ჩემს თავზე მოგახსენებთ: სამოც წელზე მეტია, დღე არ ჩამიგდია რუსთაველის თეატრის გარეშე. „ცარცის წრის“ რამდენიმე ასეულ წარმოდგენაში ერთიც არ გამომიტოვებია. რაც შეეხება ჯუმბერს, ეტყობა, თავს ქათქათა თეთრ ხალათში ხედავდა და არა სცენის მტვრის ყლაპვაში. ეს რომ ასეა, ჯუმბერმა მის მიერ არჩეული ცხოვრების გზით დაამტკიცა. როგორც მე ვერ წარმომიდგენია ჩემი არსებობა თეატრის გარეშე, ასევე მასაც უაზროდ მიაჩნია ცხოვრება კოლეგებთან და ავადმყოფებთან ურთიერთობის გარეშე. მახსოვს, ერთხელ გახურებული ქეიფიდან წამოგვყარა, საინტერესო სიმპტომით მიწევს პაციენტი და უეჭველად უნდა დავხედოო. ისედაც საინტერესო პიროვნებაა და წამომყევითო. მერე ისევ მოვბრუნდეთო. წავყევით.

იშვიათია მსგავსი პროფესიული და ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება.

ჯიგარ-ჯუმბერს – 80 წლისთავზე

ქვეყნის, ხალხის, სამსახურში
წლები შემოგთენებია,
პაციენტებს მადლობის თქმით
დაუღლიათ ენებია.

დღე და ღამე გიშრომია,
არც კი დაგიხველებია,
ყოვლისმქმნელი ჯადოქარი
შენი ოქროს ხელებია.

სასწაულის უნარ-ჩვევა
უფალს შენთვის უნებია,
იმქვეყნიდან ამქვეყნისთვის
ბევრი დაგიბრუნებია.

დასტაქრობის ნიჭთან ერთად
სხვა ტალანტიც გქონებია,
შენი ტკბილი სიმღერებით
გული მოგვიფონებია.

რვაჯერ ათი რას მიქვია
ჩემო ძმაო, ჯუმბერია,
წელს გისურვებ, კიდევ იმდენს,
რამდენჯერაც გიმღერია.

შენი ჯემალ ღაღანიძე

ღამის სტუმარი

შაბათის მორიგეობა რომ მოამთავრა, უკვე ლამის კვირადღეს მიუკაკუნა. დაღლილს არც ქამის და არც ტელეინფორმაციის აღქმის თავი ჰქონდა. ეგ იყო, შხაპს მაინც შეუშვირა თავი და სხეული. ლოგინში მოკალათდა თუ არა, ანესთეზიამიღებულივით უმალ ჩაეძინა.

მორიდებულმა, მაგრამ გრძელმა კაკუნმა გამოაღვიძა. საათი ნაშუაღამევის სამ საათს უჩვენებდა. ექიმისთვის ღამის ძილის შეწყვეტა არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. ნახევრად გამოფხიზლებული კარს მიეახლა და ისე გამოაღო, არც უცდია კართან მომდგარისთვის ვინაობის გამოკითხვა.

– უნდა მაპატიოთ, ექიმო, ასეთ უდროო დროს რომ გაწუხებთ, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. შვილი მიკვდება და თქვენს იქით საშველი აღარ ჩანს.

– შემობრძანდით... აგერ დაბრძანდით... დალაგებით მომიყევით, რა ხდება.

ახოვანი ვაჟკაცი ძლივს შემოეტია კარში. ჯუმბერმა სტუმრის პიჯაკის

ლაცკანზე შავ არშიაში ჩასმული ბავშვის პორტრეტი შენიშნა.

– ეს ბიჭი ახლახან დამეღუპა, ახლა რომლისთვისაც გაწუხებთ, ისიც ბიჭია, ამის ტყუპისცალი... რამდენიმე დღის წინ ცუდად გახდა, მაღალი სიცხე, ღებინება, ფაღარათი, ტკივილები. ექიმმა ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში დაწვენა გვირჩია... პროფესორმა გასინჯა, მწვავე ინფექციააო და სათანადო მკურნალობა დაუნიშნა. რა აღარ აყლაპეს, ოყნა ოყნაზე უკეთეს. გამოკეთების მაგივრად უარესობისკენ წავიდა. ჯერ იმ ცნობილი პროფესორის ავტორიტეტის ტყვეობაში იყვნენ, მერე ერთმა ექთანმა განზე გამიყვანა და ჩუმად მითხრა თქვენზე: სასწრაფოდ მიიყვანე, იქნებ ბავშვი გადაგირჩინოსო.

– რა ხნისაა ბიჭი?

– ექვსის... თქვენს იქით გზა არ მაქვს, ბატონო ჯუმბერ!

ჯუმბერი თხუთმეტ წუთში ბავშვის საწოლთან იდგა და ავადმყოფის ისტორიას ეცნობოდა.

– მუცელზე ხელის მიკარებაზეც კი კიოდა ბავშვი. თანაც ლეიკოციტები ოცდათორმეტი ათასი! ვინ უვიცმა დაუდგინა დიზენტერია-მეთქი, ვიყვირე. შეშინებულებმა მიმოიხედეს და ცნობილი ინფექციონისტის გვარი დამისახელეს. არც ვაციე, არც ვაცხელე და ისტორიას სამედიცინო კოლეგიალური ეთიკით გაუმართლებელი, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად გათვლილი ფრაზა მივაწერე: „ბავშვი სასწრაფო საოპერაციოა, დიაგნოზი და მკურნალობა არასწორი და დამღუპველია!“ ალბათ, ხვდები, რომ თანამდებობით და ავტორიტეტით დატერორებულმა ექიმებმა ბავშვი არ გაგვატანეს. გზადაგზა დაწვრილებით განვუმარტე მამამისს, რა ხიფათი ელოდა ბიჭის სიცოცხლეს. ტარიელმა, ასე ერქვა, სახლამდე მიმაცილა და საჩქაროდ გაბრუნდა.

– ბავშვს რა დაემართა?

– გეტყვი. დილაუთენია ტარიელი თავზე დამადგა: ბავშვი მოვიპარე და ახლა შენ იციო! სასწრაფოდ გავქანდით ჩემს კლინიკაში და ბავშვს წინასაოპერაციო პროცედურები ჩავუტარეთ. გავჭერი. საშინელი სურათი დამხვდა: გახეთქილი, დეფორმირებული ბრმა ნაწლავი, ჩირქოვან სითხეში ჩაძირული ნაწლავები. მწვავე პერიტონიტი. გადარჩენის შანსი – მინიმალური. ჩემთან ერთად, მთელ განყოფილებას რამდენიმე ღამე თვალი არ მოუხუჭავს..

– გადარჩა?

– გადავარჩინეთ!.. ნეტა განახა, რა ვაუკაცი დადგა!

პოეტი რეზო ამაშუკელი

ვიდრე ჩემს ძმასთან და მეგობართან, ჯუმბერ ჩანტლაძესთან, პირად ურთიერთობაზე გადავიდოდე, მინდა, ასე ვთქვათ, „გარედან“ შევხედო ამ გამორჩეულ პიროვნებას და ვცადო მისი ხასიათის ნიშანდობლივი ატრიბუტების ჩამოთვლა. უწინარესად უნდა ითქვას, რომ ის არის ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისების ბუნებრივი „თაიგული“. ცხადია, ეს არ არის გაუცნობიერებელი სიკეთის ავტომატი. ჯუმბერი თავისუფალი კაცია და ამიტომ არჩევანშიც თავისუფალია, მან მეგობრობა უღალატო იცის, მაგრამ პრინციპულობასაც არ ღალატობს და თუ ვინმეს სიმრუდე შენიშნა, მისკენ აღარც გაიხედავს. ყოველნაირად ნიჭიერი კაცია. მრავალ მიმართებაში ამჟღავნებს მაღალ „კლასს“. დასტაქარი რომ შეუდარებელია, მტკიცება არ სჭირდება. ახლა როგორ მღერის, როგორი თამადა და ენამჭევრია. მისი მთავარი ნიჭიერება მაინც, ჩემი გაგებით, უფლისგან მომადლებული ტალანტია სიკეთის გულუხვი, უშურველი გაცემისა. სხვათა შორის, არის აქ რაღაც დონკიხოტური. უნდა გითხრა, რომ დონ კიხოტი ჩემი საყვარელი პერსონაჟია.

ერთიც უნდა ვთქვა უეჭველად: ჯუმბერ ჩანტლაძე ჩამოყალიბებული საზოგადო მოღვაწეა და სამწუხაროდ, საკუთარი გაუმართლებელი, ზედმეტი თავმდაბლობის გამო, სულ ჩრდილს ეძებს და მზის სინათლეზე გამოსვლას ერიდება. უსამართლობად მიმაჩნია, რომ ეგრეთწოდებული „ცნობადი“ სახეების ჩამონათვალში იგი არ ფიგურირებს. მისი უნიკალური ნიჭი და გუმანი დიაგნოსტიკაში, დაუჯერებლად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ოპერაციები საგანგებო აღნიშვნის და სათანადო დაფასების ღირსია.

სხვათა შორის, მე ჯუმბერი გავიცანი არა როგორც მკურნალი, არამედ მეგობართა საფიხვნოში. მოგვიანებით დამჭირდა მისი პროფესიის თანადგომა. უტყუარი დიაგნოზი დამისვა და გადაუდებელი ოპერაციის ორგანიზებაშიც დაუღალავად მონაწილეობდა.

მე არ ვუწყი, რა სახსრების და სიმდიდრის მფლობელია ჯუმბერ ჩანტლაძე, მაგრამ უმდიდრესი ზნეობრივი ბანკის მეპატრონე რომ არის, ეჭვი არ მეპარება.

„ტალკვესი“...

ტალკვესი ანუ კვეს-აბედი – ცეცხლის ნაპერწკალთან, სითბოსა და სინათლესთან, საბოლოოდ კი სიცოცხლის ენერგიასთან ასოცირდება.

ადამიანი, რომელსაც გაჭირვების ტალკვესის სტატუსს მიანიჭებენ, სწორედ სითბოსთან, სიყვარულთან, გვერდში დგომასთან და სიცოცხლის მომნიჭებელ ენერგიასთანაა დაკავშირებული. ვისგან აღარ გაიგონებთ: ჯუმბერ ჩანტლაძე ნაღდი გაჭირვების ტალკვესია, მხოლოდ როგორც მკურნალი კი არა, ნებისმიერ ყოფით და ფსიქოლოგიურ შეჭირვებაში შენთან მყოფი, ჭირის და ლხინის გამზიარებელი, საოცარი ოპტიმისტური მუხტით დამტენი. მოგეხსენებათ, სიტყვა და მოფერება რაოდენ ეფექტურია, ხშირად–ქიმიურ მედიკამენტებზე მეტად.

მე, პირადად, ქაბუკობიდან მოყოლებული, რეგულარული საშუალება მქონდა, ამ ადამიანის ეტალონის მრავალი სასიკეთო წახნაგით მესარგებლა. რამდენიმე ათეული წლის წინათ პოლიკლინიკის მედიკოსს „უბნის ექიმს“ უწოდებდნენ. „ოჯახის ექიმის“ სტატუსი მოგვიანებით გაჩნდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჯუმბერი იმთავითვე ჩემი „ოჯახის ექიმი“ იყო. „ოჯახში“ კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი პაციენტი იყრიდა თავს: მშობლები (ჩემი და მეუღლის), ჩვენ თავისთავად, შვილები, შემდგომში – შვილიშვილები. ჯუმბერის ყურადღების არეალში გახლდათ ჩემი მარტოხელა ბიძა (მამის ძმა) აბელი, რომელსაც პროსტატასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა. ერთი-ორჯერ „შეხუთვა“ ანუ შარდის შეკავებაც დაემართა. ჯუმბერის მიერ ჩატარებულ მანიპულაციებს თვალს ვადევნებდი: არც ისე რთული მეჩვენებოდა. მორიგი „შეხუთვისას“, რაღა თქმა უნდა, კვლავ ჯუმბერი გამოვიძახე. მოქანდა, საჭირო „ინსტრუმენტები“ წინ დამილაგა, სასწრაფო ოპერაციაზე გავრბივარ და ბუჟირება თავად გაუკეთე, ხო ნაყურები გაქვს, იოლი საქმეაო. ჩემი პროტესტი არად ჩააგდო და გავარდა. რა უნდა მექნა? ამ „იოლმა“ პროცედურამ ჭირის ოფლში გამწურა, მაგრამ თუ დამიჯერებთ, დადებით შედეგს მივაღწიე. დამირეკა, რა ჰქენიო, თან სიცილით იფხრიწებოდა: პოლიკლინიკაში ექთნის ვაკანსია მაქვს, მოდი, დაიკავეო.

ყოველგვარ რთულ პროცედურას იუმორით და ხალისით ამსუბუქებდა.

ერთ ეპიზოდს მინდა მოგიყვეთ, რომლის მედიცინასთან კავშირი მეათეხარისხოვანია. უკვე ორმოცს გადაცილებული ვიყავი, როცა „ჟიგული-01“ შევიძინე და გამოუცდელობით მაგარი ავარია მომიხდა: აეროპორტის ტრასაზე შუა გაზონზე ავვარდი და ვეება პარტიულ სარეკლამო სტენდს დავეჯახე. ის კი დავაზიანე, მაგრამ მე უფრო დავზარალდი: მანქანა ხომ დაიმტვრა და მე შუბლით საქარე მინა დავამსხვრიე, რამაც უხვი სისხლდენა გამოიწვია. ტანსაცმლიანად წითლად ვიყავი შეღებილი. გაჩერდა მანქანები, გადმოცვივდნენ კოლეგა-მძღოლები და „არამიანცში“ გამაქანეს. როცა ექიმმა შუბლი მომბანა, გაიცინა და შვებით ამოისუნთქა: სისხლის მთელი ნაკადი ორი უმნიშვნელო ნაკაწრიდან წამოსულა. მე კიდევ ახალშეძენილი მანქანის დარდი მქონდა. ვისთვის უნდა დამერეკა? რა თქმა უნდა, ჯუმბერისთვის, მოგრიალდა, ექიმებს გაესაუბრა, ჩემს ავარიაზე და ჭრილობაზე „გაისეირნა“, წამიყვანა, ტრასაზე მიგდებული მანქანა პროფილაქტიკაში მიმაყვანინა და ნაცნობ, როგორც თავად აღნიშნა, საიმედო ხელოსნებს ჩაბარა აღსადგენად. რა სათქმელია, რომ აღდგენის პროცესის საკონტროლოდ მისი მანქანით დავდიოდით.

ყველა მსგავსი ეპიზოდის ჩამოთვლას აღარ შევუდგები, ქაღალდი არ მეყოფა. ახლა სხვას მივცემ სიტყვას, კერძოდ, რატი ვარამაძეს- მის კარის მეზობელს:

– იცი, რას გეტყვი, ჯუმბერი რომ კაცური კაცის ეტალონია, პირველ რიგში, როგორც იტყვიან, ბუნების ნათავხედარია და ამას ემატება მისი მშობლიური გენი, უმწიკვლო ოჯახი, სადაც გაიზარდა. მისი დები და ძმაც გამორჩეულები არიან სილამაზითაც და სუფთა ზნეობითაც. პირდაპირ გეტყვი, ჯუმბერი რომ არა, შეიძლება კაი ხნის მიცვალებული ვყოფილიყავი. ჩანტლაძეების ოჯახი რომ არა, ვინ იცის, რამდენ წელს მახეხინებდნენ სატუსაღოს კედლებს კაგებეშნიკები. მოდი, ამ ბოლო ამბით დავიწყებ.

ცხრას ორმოცდათექვსმეტის მარტის დღეებში რა ხდებოდა, კარგად მოგეხსენება. ბევრი ახალგაზრდა შეეწირა მაშინდელ საპროტესტო ტალღას. მრავალი დაიჭირეს. რა დაგიმალო და ასე ვთქვათ, მებრძოლ ავანგარდში ვიდექი. კაგებეს სათითაოდ ვყავდით დაფიქსირებული, მე ჯერ სიკვდილს ბეწვზე გადავურჩი და მერე კაგებეშნიკებსაც სასწაულად დავუსხლტი. იმ ტრაგედიის მეორე თუ მესამე დღეს მარლენს, ჯუმბერის ძმას, ნაცნობი კაგებეშნიკი შეხვედრია და საიდუმლოდ უთქვამს: რატის უდა-

რაჯებენ და ალბათ, კაი ხნით მიაყუჩებენო. მარლენმა არ დამალაპარაკა, მტაცა ხელი და სახლში წამიყვანა, უშველებელი სახლი და ეზო ჰქონდათ. ერთ ოთახში „ჩამკეტა“ და გამაფრთხილა: აქედან უჩემოდ ცხვირი არ გამოყო, თუ რამე სახიფათო მოხდება, სამჯერ დაგიკაკუნებ, ფანჯრიდან ეზოში გადაძვერი და ბუჩქებში დაიმალეო. როგორ გგონია, რამდენ ხანს ვიყავი ჩანტლაძეების „ტუსაღი“? ორი თვე! უნდა გენახა, როგორ მანებივრებდა ქალბატონი ჟენია, მისი ნახელავი ხაჭაპურების გემოს რა დამავიწყებს. ბატონმა ავთანდილმა ერთხელ, ყური მოვკარი, შეშფოთებულმა უთხრა: მაგ ბიჭმა რაიმე შარს არ გადაგვკიდოს, ხომ არ აჯობებს, სხვაგან გადავმალოთო. იცი, რა უპასუხა ჟენიამ? ეგ ბოვში აქ იქნება და შენ თუ გინდა და სადაც გინდა, იქ დაემალეო! ასე იყო, აბა!

ჰო, ერთხელ, უკვე ორი თვის თავზე, ნაშუაღამევს, კარზე სამჯერ მოკაკუნებამ გამაღვიძა. მაინც მომაგნეს-მეთქი, გამიელვა. წამოვხტი, ეგრევე ტრუსების ამარა გადავძვერი ფანჯარაში და ბუჩქებში დავიმალე. გავიხედე, მარლენი მოდის ღიღინით, ეტყობა, ნასვამია. როცა ბუჩქებში გაყურსულს დამადგა თავზე, სიცილი აუტყდა: ამოდენა კურდღელი ცხოვრებაში არ შემხვედრიაო! კაი, ჰო, ნუ გამლახავ, ვიხუმრე, ცოტა გავერთოთ, ინფორმაცია მომაწოდეს, საშიშროებამ გაიარაო. მე მგონი, აქ რომ მყავდი დატუსაღებული, ეგაც მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ ჩემი ხათრით და რიდით ხელს არ გახლებდნენო. კაი, ჰო, ვხუმრობ, გურულები არ ვართო?

ახლა იმას მოგიყვები, ჯუმბერმა რამდენჯერ გადამარჩინა.

ცხოვრებაში იმდენი სისულელე ჩამიდენია, ათ კაცს რომ თავზე გადაუა. ერთ მათგანს კინაღამ სიცოცხლე გადავაყოლე. მოკლედ რომ გითხრა, სრულიად უცნობების სამკვდრო წაკიდებაში ჩავერიე, ჩემი მოკლე ჭკუით გაშველება და მშვიდობის დამყარება ვცადე. ასე არ უნდაო და ზურგში იმსიგრძე ხანჯალი გამირჭეს, ფილტვები შუაზე გაიხლიჩა. ვეღარ ვსუნთქავ, ვხედავ ვკვდები, თანაც სად, ჩემს უბანში, ჩემი სახლის წინ. ქალების წიოკობაზე გამოვარდა ჯუმბერი, როგორღაც მანქანაში ჩამტენეს და სასწრაფოდ გამაქანა ქირურგიულში. ჩემი გადარჩენა თურმე არავის სჯეროდა, ჯუმბერის გარდა. არ მომცილებია, ჩემს სასთუმალთან ათენ-აღამებდა. როგორც ხვდები, სიცოცხლე დამიბრუნა, მაგრამ რად გინდა: რაც დებილი ვიყავი, ის დებილი დავრჩი. მაგის მკურნალობას არავითარი ეფექტი არ აქვს.

მეორე ეპიზოდი ჩემს წრეგადასულ ემოციურობასა და ღირსების გამძაფრებულ პათოსთანაა კავშირში. საკუთარ ოჯახში ისე ამეწეწა ნერვები, გულის მწვავე შეტევა მოვინაგრე და თითქმის გავითიშე. რასაკვირველია, უხმეს ჯუმბერს. მოვარდა, დამხედა, არც დაფიქრებულა, ეს ასკილოიანი კაცი ზურგზე ამიკიდა და მანქანამდე მიმიტანა. კარი კი გამოაღო, მაგრამ სალონში შესატენად ჩემი მეუღლის დახმარება დასჭირდა. გეცოდინება, მაგ დროს ყველაფერს წამები წყვეტს. ბეწვზე მოგისწარითო, მითხრეს, როცა კრიზის პიკმა გაიარა. ნეტა რას გადამარჩინა, ჩემისთანა კრეტინის ცხოვრებას რა აზრი აქვს ან საკუთარი თავისთვის ან ქვეყნისთვის...

– უჩივლე!

– რა ხართ ეს გურულები! – რატი სიცილს იკავებს, ღიმილი კი დაეტყო.

– ბიჭო, შენ ხო ტეხასელი ფერმერი ხარ!

გოგი დოლიძე და „ქართული ხმები“

გოგი დოლიძე მხოლოდ თორმეტი წლის იყო, ჩემთან, კლინიკაში, რომ მოიყვანა მამამისმა, ლეონიდემ. სხვათა შორის, გოგის სიმღერის ნიჭი და ჯადოხმა მამის გენიდან მოდის. ლეონიდე მშვენიერი მომღერალი (გურული სიმღერების), მომლხენი და დიდებული ადამიანი იყო. ჰო, პატარა გოგის საკმაოდ რთული დაავადება, მარცხენა თირკმლის ჰიდრონეფროზი აღმოაჩნდა. ეს, იცი, რას ნიშნავს: თირკმელი დახშულია, სითხეს აღარ ატარებს, რაც მისი სრული ატროფიის ანუ გადაგვარების საფრთხეს ქმნის. გადაწყდა ოპერაცია. ლეონიდე, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, დაგვეთანხმა. პროფესორი დიმიტრი მურვანიძე შემიამხანაგდა და ოპერაცია წარმატებით დავასრულეთ. მართალია, თირკმელი სრული შესაძლებლობით ვეღარ იმუშავებდა, მაგრამ გარკვეულ ფუნქციას შეასრულებდა. რაც მთავარია, თირკმელი ამოჭრას გადაურჩა.

გოგი რომ წამოიზარდა და ცნობილი მომღერალი გახდა, ჩემი ხშირი სტუმარი იყო. „ქართული ხმების“ კონცერტებზე დავყავდი და

მათ სუფრასთანაც ბევრჯერ მომილხენია. გოგისთან და ანსამბლის დანარჩენ ბიჭებთანაც მიმღერია. მე რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წავედი, გოგის, მძიმე ტრავმის შედეგად, მარჯვენა თირკმელი დაზიანებია. ქირურგს მისი გადარჩენა – დატოვება არ მოუნდომებია და მოუკვეთავს. დარჩა გოგი სუსტი მარცხენა თირკმლის ამარა, რომელიც თხუთმეტი წლის მანძილზე მოემსახურა. მეტი ვეღარ შეძლო!

„კუზიანი“ ნაწლავი

კი, გვხვდება მაგნაირი მდგომარეობა: ნაწლავი დეფორმირებულია, ერთ ადგილზე გაფართოებული და კუზივით ამობურცულია. ერთ რეგიონიდან ჩამოსულ პაციენტს მსგავსი პათოლოგია დავუდგინეთ და სასწრაფო ოპერაცია ვურჩიეთ, რადგან იმ „კუზის“ გახეთქვა და ფეკალიების ჩაღვრა მუცლის ღრუში ყოველ წამსაა მოსალოდნელი, მოვემზადები და მოვალო, პაციენტმა და კარგახანს არ გამოჩენილა. როგორც შემდეგ გაირკვა, საოპერაციოდ ფული არ გააჩნდა. მაინც მოგვაკითხა, უკვე კრიტიკული მდგომარეობა ჰქონდა. წამისწამზე მოსალოდნელი იყო ნაწლავის ამოფრქვევა. თანხის ჩარიცხვის გარეშე ოპერაციაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. პაციენტი მოვათავსეთ პალატაში და „კონსილიუმი“ მოვაწყე, ცხადია, საჭირო თანხის მოძიების თაობაზე. სპონსორის ძიებას აზრი არ ჰქონდა. არადა, პაციენტი, ასე ვთქვათ, ნაღმზე ზის... კოლეგებს შევახსენე ჰიპოკრატეს ფიცი და გადაწყდა, თავად დაგვესპონსორებინა. ორასი დოლარი მე დავდე, დანანარჩენებმაც ჩაიხედეს საფულეებში და საჭირო თანხა შეგროვდა.

როცა საოპერაციოში შევიყვანეთ და წინასწარი პროცედურები ჩავუტარეთ, განცვიფრებულმა იკითხა:

– ჯუმბერ-ექიმო, რა ხდება, ოპერაციას ნისიად მიკეთებთ?

ვითომ მერე იყო გადამხდელი.

ბეწვზე მივუსწარი, უკვე გაჟონვა დაწყებული იყო.

დღესდღეობით ის კაცი კაჟივით ჯანმრთელია და აღარ იცის, როგორ გამოხატოს მადლიერება.

სხვათა შორის, ოპერაციის დროულად და წარმატებით ჩატარებისთვის კლინიკის დირექტორმა შემაქო, მაგრამ მკაცრად გამაფრთხილა:

– მეორეჯერ მსგავსი „აქცია“ აღარ გაბედოთ და რაც მთავარია, არსად გაამხილოთ, რაც მოხდა, თორემ უფულო პაციენტები თავად მოგვიწყობენ აქციებს!

ცხენი

სამედიცინო რომ დავამთავრე, ხულოში გამანაწილეს, საავადმყოფოს მთავარი ექიმი პენსიაში გავიდა და მისი თანამდებობა მერგო. მოგეხსენება, ხულოს რაიონი მთიანი რეგიონია და ზემო სოფლებთან კომუნიკაცია არც ისე იოლია. ტრანსპორტის საქმე ასე იყო: კლინიკას მანქანა და ცხენი ჰყავდა. ზოგიერთ სოფელში მანქანას უჭირდა და ცხენით ავდიოდი. როცა სამსახურს შევუდექი, ცხენი საცოდავ მდგომარეობაში დამხვდა: გაძვალტყავებული, ზურგი გადაყვლეფილი, ალაგ-ალაგ ბეწვგაცვენილი. როგორც გავარკვიე, მძიმე სამუშაოზე იყენებდნენ და მის მოვლაზე თავს არ იწუხებდნენ. მე, რა თქმა უნდა, ავკრძალე მისი არამიზნობრივი გამოყენება და მკურნალობის კურსი ჩავუტარე. წყლულები მოვუშუშე, რაციონალური კვება დავუწყე, ვეფერებოდი და ხელიდან ვაჭმევდი. უნდა გენახა, როგორ გამოხატავდა მადლიერებას: ფრუტუნით და წინა ფეხის ბაკუნით მეგებებოდა, ეგ არის, გამარჯობას არ მეუბნებოდა.

როცა სოფლისკენ მიმავალ გზას გავუდგებოდით და ვინმე ნაცნობი გამიჩერდებოდა სალაპარაკოდ, თავისით ჩერდებოდა და როცა მოსაუბრე დამემშვიდობებოდა, ასევე ჩემი შეძახილის გარეშე დაიძვრებოდა. მართალი გითხრა, არ მეგონა, ცხენს თუ ასეთი ერთგულება და სიყვარული შეეძლო. როცა შვებულებაში გავედი, რამდენიმე დღის მერე თანამშრომელმა დამირეკა: ცხენი საკვებზე უარს ამბობს, შენზე დარდობს, იქნებ მცირე ხნით შემოიარო და დააწყნაროო.

ვინ მოთვლის, იმ ჩემს „მერანზე“ ამხედრებულს რამდენჯერ მაქვს მოვლილი ხულოს ცაში გამოკიდებული სოფლები.

ერთხელ სოფელ მეკეიძეებში ავედი, სადაც უმთავრესად მუსულმანი ქართველები ცხოვრობენ. ვხედავ, სოფლის მოლა, ოსმან ბერიძე, უაღრესად განათლებული და გონიერი კაცი, ერთ-ერთ სამოსახლოსთან რიტუალის ჩასატარებლად ემზადება, სოფლის მცხოვრებნიც იქვე შეკრებილან. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე. რა გითხრა, ჯუმბერ-ბატონო, უბედურებაა: ბიჭი ჯარიდან ჩამოვიდა საღსალამათი და რამდენიმე დღეში რაღაც დაემართა, საამქვეყნიო პირი აღარ უჩანსო. შეიძლება დავხედო-მეთქი და აზრი არ აქვსო.

მე მაინც შევედი სახლში და მწოლიარეს თავზე დავადექი. უცნაური რამ ვნახე: ნახევრადღია პირი რაღაც გაურკვეველი ფერის მასით აქვს ამოვსებული და გონებაწართმეული ხროტინებს, აგონიაშია. იმ მასას შპრიცი ვუჩხვლიტე. სისხლიანი ჩირქი გამოვიღე. ვხედავ, სასა ისეა გაბერილი, მთელი პირის ღრუს ავსებს. კოხერით გავჭერი. უმალ დაიძრა ჩირქის მღვრიე ნაკადი, მასა დაიჩუტა და საშუალება მომეცა, პირის ღრუში ჩამეხედა. სასა წამებში დავაცხრე, პირის ღრუ გამოვუსუფთავე და გამოცოცხლების პროცედურები ჩავუტარე. ბიჭმა ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა, გონზე მოვიდა და ისე თამამად წამოდგა, თითქოს წუთის წინ ალაჰთან გასამგზავრებლად არ ყოფილიყოს გამზადებული. უნდა გენახა, რა გნიასი ატყდა, როცა ბიჭთან ერთად, ხელგაყრილი სახლიდან გამოვედი.

არ ვიცი, იმ დროს მე უფრო ბედნიერი ვიყავი თუ ის, სიკვდილს გადარჩენილი ყმაწვილი.

პატრიოტულ-კრიმინალური აქტი

სტუდენტობისას სამუშაოც მოგვცეს, ინფექციურში ღამის მორიგეებად ვმსახურობდით. ნორმალურად გვიხდიდნენ. ორმოცდაჩვიდმეტში ჰეპატიტის, ე.წ. ბოტკინის ეპიდემია იყო მოდებული, პაციენტი პაციენტზე შემოდიოდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს. დიაგნოზი აღარ გვიჭირდა: მთავარი სიმპტომი, ღვიძლის გადიდება, ხელით იოლად ისინჯებოდა. კონვეიერივით ვმუშაობდით: პაციენტი, ღვიძლის მოსინჯვა, პალატაში გამწესება. ერთ კურიოზს

მოგიყვები: შემოვიდა ათიოდე წლის მწითური, ქორფლიანი გოგო. ისეთი მოყვითალო იერი ჰქონდა, გასინჯვა ზედმეტად მივიჩნიე და პალატაში გავისტუმრე. დილით მაცნობეს, რომ სანამ ლექციებზე წახვალ, კათედრის გამგემ, პროფესორმა გიორგი კვიტაიშვილმა, შემოგითვალა, შემომიაროსო. სასწრაფოდ მივედი. პროფესორმა იმ პალატაში შემიყვანა, რომელშიც ის ქორფლიანი გოგო იწვა. ეგ ბავშვი შენ დააწვინეო, მკითხა. დიახ-მეთქი. ღვიძლი გაუსინჯეო? შევფერხდი, მერე წავიბლუკუნე: მგონი კი-თქო. მგონის აჯობებს ახლა გაუსინჯოო. გავუსინჯე, გადავირიე – ღვიძლი საერთოდ არ ისინჯება, გადიდებულს რომ თავი დავანებოთ. ნუთუ ასე უცებ დაუცხრა? ყმაწვილო, ახლა მარცხენა მხარე მოსინჯეო! ალბათ, ელენთაზე მიმანიშნებს-მეთქი, ვიფიქრე. დავაწექი, რას დააწვები, გატენილია! დავიბენი. იქ მყოფებს სიცილი აუტყდათ. ხვდები, საქმის ვითარებასო, პროფესორმა, აქ ბუნებრივ ანომალიას ვეჯახებით, ღვიძლი მარცხენა მხარეს ჰქონია ამ გოგონასო.

გული მარჯვნივ ვიცოდი, ეგ კი არ გამიგონია-მეთქი. თან სირცხვილისგან ვიწვოდი. აწი გულდასმით გასინჯვის გარეშე ნუ გაამწესებ პაციენტსო, დამიყვავა ბატონმა გიორგიმ და მხარზე ხელი მომითათუნა.

ეს ეპიზოდი ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო.

ახლა სწორედ ინფექციურთან დაკავშირებულ ორიოდე შემთხვევაზე გიამბობ.

ახალციხიდან შემოიყვანეს კეთროვანი. ამ დაავადებით დასნეულებული დიდი ხნით, ალბათ, სამუდამოდ უნდა იქნეს საზოგადოებისგან იზოლირებული. მათი ადგილისამყოფელი კასპიის ზღვაშია, ერთ მომცრო კუნძულზე. როცა განაჩენს ყური მოჰკრა, ავადმყოფი ფანჯრიდან ეზოში გადახტა და გაქცევა სცადა. დაცვამ ქიშკარი კი ჩაკეტა, მაგრამ ხელის მოკიდების ყველას ეშინია. კეთრი მწვავე გადამდები დაავადებაა. პროფესორი კვიტაიშვილი თამამად მივიდა, დაუყვავა, ხელკავი გამოსდო და უკან წამოიყვანა. ხედავ, რა ქნა ბატონმა გიორგიმ, თავი გაწირა-მეთქი!

– იცით, რამდენი წლისაა პროფესორი კვიტაიშვილი? – მკითხა პროფესორმა მეფარიშვილმა.

– ალბათ, ოთხმოცამდე, მაგრამ ეგ რა შუაშია?

– იმ შუაშია, ჩემო კეთილო, რომ კეთრის საინკუბაციო პერიოდი ორმოცი წელიწადია, ბატონ გიორგის კეთროვანობა სიცოცხლის ას მეოცე წელს ემუქრება!

გადავდივარ შემდეგ, პატრიოტულ-კრიმინალურ ეპიზოდზე.

მე, როგორც ქაბუკს, სტუდენტს, ხშირად მიწევდა საქმელ-სასმელზე გასვლა ქალაქში. იმ დღეს ცოტა მოშორებით, გმირთა მოედანზე მომიწია ვოიაჟი. შევიძინე პროდუქტები, შამპანური და დაძრულ ტროლეიბუსში შევყავი თავი. ვხედავ, კარგა ნაყლაპი რუსი პოლკოვნიკი უშვერი სიტყვებით აგინებს იმ დროს პიროვნების კულტად გამოცხადებულ სტალინს და რაც მთავარია, მთელ ქართველ ერს. ყველანი აღშფოთებული უსმენენ, მაგრამ ვერაფერს უბედავენ, რადგანაც მაგინებელი, შიგადაშიგ, ქამარზე ჩამოკიდებულ „მაკაროვს“ ავლებს ხელს. ჭკუა დაუშლის თუ თანამდებობა, არ დაფიქრდება, ისე გესვრის. არკვიე მერე მტყუან-მართალი! მე მის ზურგსუკან ვდგავარ და ბრაზი მახრჩობს. ხომ ღირსია, ეს შამპანურის ბოთლი ჩავუშვა კეფაში ამ ნაძირალას! ვყოყმანობ, ჯერ ვერ გადამიწყვეტია. არადა, ერთი წამითაც არ გაჩერებულა, ჩასუნთქულიც იგინება. ამასობაში ტროლეიბუსი ინფექციურთან გაჩერდა. ხელმა ჩემს უკითხავად აიღო შამპანურის ბოთლი და იმ ნაძირალას თავს მიამსხვრია. სითხე და სისხლი ერთმანეთში აირია. მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს. „შენს ხელებს ვენაცვალეო!“ – ვიღაცამ მომაძახა. სასწრაფოდ ჩამოვხტი ტროლეიბუსიდან და კლინიკაში სირბილით შევედი. ექიმები გარეთ გაცვივდნენ. მოვიდა სასწრაფო. როცა პერსონალი შენობაში დაბრუნდა, ყველას სრული ინფორმაცია ჰქონდა მომხდარი ინციდენტის თაობაზე. ნეტა ვინ იყო ის დალოცვილი, ვინც ბოთლი ჩასცხოო?

– ყმაწვილო, შენ ხომ არ...ა?

– რას ბრძანებთ! – ავბლუკუნდი.

– ერთი ეს მითხარი, რამდენი ბოთლი შამპანური დაგაბარეთ?

– მგონი ორი!

– მერე? მეორე სადღაა?

რაღა მეთქმოდა, ვაღიარე „დანაშაული“.

– მაგ დანაშაულისთვის სასჯელს ვაწესებ, – განაცხადა პრო-ფესორმა კვიტაიშვილმა, – დღეიდან გისჯი უფასო ვახშამს და საუზმეს. გარდა ამისა, პრემიის სახით ერთი თვის ხელფასს აიღებ იძულების წესით!

გიხარია, რომ შენც ამ ქალაქში ცხოვრობ

კაცი რომელიც ფუსფუსით დადის, სიკეთეს თესავს და გიხარია, რომ შენც ამ ქალაქში ცხოვრობ.

ექიმები რომ ნიჭიერები და მრავალმხრივი ადამიანები არიან, ამაზე ბატონი ჯუმბერის ცხოვრება და მუსიკალური ნიჭი მეტყველებს, მისი ნამღერი „მარტოხელა ქალბატონო“, რომელიც ქართული სუფრის თამადობისას მომისმენია, ორიგინალური ელფერით გამოირჩეოდა.

ჯუმბერ ჩანტლაძეს უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ახალგაზრდობის სიყვარული და მათთან სიახლოვე, აღმზრდელობითი, ცხოვრებისეული, გაკვეთილების დაუღალავი დიპლომატიური მიწოდება.

დიდია მისი მასწავლებლებისადმი და ასაკოვანი, ღირსეული სპეციალისტებისადმი პატივისცემა. სწორედ ეს იყო, 2010 წელს, მისი ინიციატივით, საქართველოში დამსახურებული მედიკოსებისადმი „ბრწყინვალების ვარსკვლავის“ კომისიის შექმნა, ღირსეულთათვის მინიჭება და კლინიკებში მისი ცერემონიალური გახსნა, რომელიც დღესაც გრძელდება.

ეს გახლავთ ის მოკრძალებული შეფასება იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც ბატონ ჯუმბერ ჩანტლაძესთან მე პირადად მაკავშირებს და იმ კეთილშობილური ადამიანური რესურსების „დაქოქვისა“, რომელსაც იგი შეუმჩნევლად ლამაზად ფუთავს ისე, რომ შენც გავალდებულებს, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენო საქართველოს საკეთილდღეოდ!

ჯუმბერ ჩანტლაძეს გაუ-მარ-ჯოოოს!

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის
თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი
გიორგი ჩახუნაშვილი

შვილიშვილებთან ერთად 2010 წ.

შვილთაშვილთან, ელენე
მორჩილაძესთან ერთად 2014 წ.

ყბაყურა

როგორც იცი, ყბაყურა ბავშვობის ასაკში მოსახდელი დაავადებაა, მაგრამ თუ ზრდასრულს დაემართა, ღმერთმა დაგიფაროს, ისეთი გართულებები მოსდევს, მათ შორის, მომაკვდინებელი საფრთხეც. ხშირია ფსიქოზი, როცა დაავადებული კონტროლს ჰკარგავს, რასაც ნებისმიერი სავალალო, გამოუსწორებელი შედეგი მოსდევს.

სწორედ ასეთი შემთხვევა მახსენდება.

ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში, მამაჩემმა სამსახური დამაწყებინა: სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთ კლინიკურ კორპუსში ღამის დარაჯად გამამწესა. გაკვეთილებს აქვე ვსწავლობდი და არც მაინცდამაინც შემშლია ხელი გამოძინებაში.

ერთ მშვენიერ დღეს შემოიყვანეს ყბაყურით დაავადებული მამაკაცი, ერევნელი სომეხი, რომელიც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელად იყო მოვლინებული.

დაუნიშნეს მკურნალობა. მეორე თუ მესამე ღამეს, ახალჩათვლემილი, ნაბიჯების ხმამ გამომაფხიზლა. ერევნელი, „პიჟამას“ ამარა, გასასვლელისკენ მიცუხცუხობს. გამოვეკიდე! სირბილზე გადავიდა. გარბის, მივდევ. ვერ ვეწევი, გული ამოვარდნაზე მაქვს. სადგურთან რომ გადასასვლელი ხიდია, იქ წამოვეწიე. კიბეზე ამასწრო და ხიდზე წამით შეჩერდა. მაშინ ხიდი გადახურული არ იყო, იქით – აქედან დაახლოებით მეტრ-ნახევრიანი ცხაურით იყო დაცული. გაქცეულს, ეტყობა, სირბილის თავი აღარ ჰქონდა და გადაწყვიტა ცხაურზე აცოცებულიყო და ქვემოთ გადამხტარიყო. ქვემოთ კი, მოგეხსენება, ოცი მეტრის სიღრმეზე რკინის რელსები ელოდებოდა.

გავქანდი და ფეხში ხელის წავლება მოვასწარი. ენერგიულად ცდილობდა ფეხის გამოღლეტას, თან თავისუფალ ფეხს სახეში და მხარში მიმიზნებდა. მომიხდა ორ „ფრონტზე“ ბრძოლა: ჩამოსათრევად და დარტყმის ასარიდებლად. ბედზე საიდანღაც ჩემსავით ღამის დარაჯი გამოჩნდა. როგორც იქნა, ჩამოვათრიეთ და „დავბორკეთ“. დარაჯმა ჯიხურიდან სასწრაფოში დარეკა და ბოლოს და ბოლოს, კლინიკაში დავაბრუნეთ.

მადლობა ღმერთს, მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ყბაყურამ გაუარა. არაფერი ახსოვდა, განცვიფრებული და შეშინებული მისმენდა. ერევნიდან ცოლმა ჩამოაკითხა.

რაც მე მაგათ მადლობები მიხადეს და ერევანში მპატიჟეს.

– ჩახვედი?

– კაი კაცო! ერევანში კი არა, ლონდონში მეხვეწებოდნენ და იქ არ ჩავსულვარ.

„სახარე ხბო...“

ლექციებს მოვრჩი, მესამეკურსელი ვარ, სახლისკენ ფეხით მოვდივარ. ბულაჩაურზე რომ შემოვუხვიე, ვხედავ, ხალხის მასას ქუჩა გადაუკეტავს, ჩოჩქოლი და შეკივლება მესმის. მივუახლოვდი, საშინელი სურათი ვიხილე: საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ავტობუსი ტროლეიბუსს შეჯახებია და გადაბრუნებული გდია. ტროლეიბუსი კორპუსის კედელს შესკდომია. ავტობუსის გვერდით დავარდნილი კაცი სისხლისგან იცლება, საძილე არტერიიდან შადრევანივით ასხამს. მივვარდი, არტერია თითებით დავუხშე, დამხმარეებს ვუხმე და ასე თითებდაჭერილი გადავიყვანეთ კლინიკაში. ცნობილმა დასტაქარმა, მიშა ჩაჩავამ, თავისთავს აჯობა, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი მიკროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარა და კაცი, რომელიც „დინამოს“ ავტობუსის მძღოლი აღმოჩნდა, გადაარჩინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა მიშამ, სალექციო თემასთან დაკავშირებით, ილუსტრაციისთვის, სწირედ ის კაცი მოაყვანინა საგორიალათი.

– ამ კაცს, – გვითხრა პროფესორმა,– საძილე არტერია ჰქონდა გახსნილი და ერთმა მოქალაქემ სისხლდენის ბლოკირება მოახერხა და კლინიკამდე გამოჰყვა. ფაქტობრივად ეს პაციენტი მისი გადარჩენილია.

– პატივცემულო. – ხელი აღმართა ჩემმა თანაკურსელმა,– ეგ მოქალაქე, როგორც თქვენ ბრძანეთ, აქ, ჩვენს აუდიტორიაში ზის, სტუდენტი გახლავთ.

– მართლა? – გაუხარდა პროფესორს, – რომელი ხარ, წამოდექი, დამენახე!.. აბა, ერთი, აუხსენი აუდიტორიას, როგორ მოახერხე სისხლდენის ბლოკირება.

– თითებით, პატივცემულო.

– გასაგებია, რომ თითებით და თანაც, ალბათ, ხელის.

– დიახ!

ჩემი პასუხი აუდიტორიის გულიანმა სიცილმა გადაფარა.

– ეს მითხარი: საიდან მიუდექი ბლოკირებისათვის?

ვხედავ, რომ მამოწმებს.

– რა თქმა უნდა, უკანა, კისრის მხრიდან...

– ყოჩაღ! – შემაქო პროფესორმა, – ექვი არ მეპარება, შენგან ნაღდი პროფესიონალი დადგება. ხალხი ამბობს, სახარე ხბოს კოჭებში ეტყობაო! მერე პაციენტს უთხრა: – აი, ვინაა შენი გადამრჩენელი!

როგორც გაირკვა, იმ კაცს არაფერი ახსოვდა. მიმიხმო: ხვალ პალატაში შემომიარეო.

მივედი, მადლობა მადლობად, მაგრამ ისეთი რამ მაჩუქა, თვალებს არ ვუჯერებდი: „დინამოს“ თამაშებზე დასასწრები მთელი წლის აბონემენტი. შეიძლება ამჟამინდელ სტუდენტობას სასაცილოდ არ ეყოს ჩემი მაშინდელი აღფრთოვანება, მაგრამ უფროს თაობას კარგად ახსოვს, როგორი თავპირის მტვრევა სჭირდებოდა ფეხბურთის ბილეთის შოვნას.

„ლაზარე, გამოვედ გარე!“

შენ კარგად იცი, თავდადებული რელიგიური არ ვარ, მაგრამ საღვთო წიგნს, ბიბლიას, უღრმეს პატივს მივაგებ. ბევრ რაიმეს არ ვიზიარებ, ზოგიერთი ეპიზოდი ლეგენდად მიმაჩნია, განსაკუთრებით, ლაზარეს მკვდრეთით აღდგომისა. ახლა მიხვდები, ამას რატომ გიყვები.

ღამის მორიგეობის მერე დასვენების დღე მქონდა, მაგრამ გულმა არ მომითმინა და კლინიკაში შევიარე. მორიგე ექიმი გახარებული მომეგება: რა კარგია, რომ მოხვედი, საგანგებო ვითარებაა. წლინახევრის ბიჭი ფანჯრის რაფაზე აცოცებულა, მეცხრე სართულიდან გადმოვარდნილა და ახლა მშობლები გვევედრებიან, რამე გვიშველეთო. ხელფეხდალეწილი მკვდარი ბავშვის გაცოცხლება რანაირად შეიძლება. შიგნით რა მდგომარეობაა, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. სადაა ბავშვიმეთქი და საოპერაციოში, მაგიდაზეო. შევედი, ზეწარი აქვს

გადაფარებული. გადავხადე, პულსი არ ისინჯება, სუნთქვას ვერ ვგრძნობ, მაგრამ სხეული გაცივებული არ არის, რაღაც სითბოს ინარჩუნებს. მართალია, არავითარი იმედი არ არსებობს, მაგრამ საცოდავი მშობლების ამაღამ ტრავმირებას მოვერიდე და სათქმელი დილისთვის გადავდე. გულმა მაინც არ მომითმინა, ელემენტარული პროცედურები ჩავუტარე და მონიტორზე ჩავრთე...

მშობლები სახლში გავუშვი დილამდე.

ორი-სამი საათით მივწექი, თვალი მოვატყუე. ნაშუაღამევს საოპერაციოში შევიარე და თვალებს არ დავუჯერე: გულმა მუშაობა დაიწყო! სასწრაფოდ წამოვყარე ფეხზე მორიგე მედპერსონალი და მუცლის ღრუს ოპერაციას შევუდექი. დაზიანებული ორგანოდან სისხლის დენა შევწყვიტე და სათანადო პროფილაქტიკა ჩავატარე. ამის შემდეგ დამტვრეული კიდურების ოპერაციული აღდგენა განხორციელდა. გელაპარაკები, სასწაული მოხდა! თითქმის დავიჯერე ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა. მშობლებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ და რა ეთქვათ.

ის ციცქნა ნოდარიკო დღეს ზრდასრული, ბრგე, ახალგაზრდა კაცია და თვე არ გავა, რომ არ შემომეხმიანოს ან არ მნახოს. ამაზე მეტი სიხარული რამ უნდა მოუტანოს მკურნალს?

დიაგნოსტიკი

მოგეხსენებათ, სწორი დიაგნოზის გარეშე მკურნალობას, როგორც წესი, სავალალო შედეგი მოსდევს. გაგახსენებთ მუხრან მაჭავარიანის უკვდავ სტრიქონებს: „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“...

ასეა, თუ სწორად არ შეაფასე ვითარება, შენც დამარცხდები და სხვასაც, სრულიად უდანაშაულოს, გაიყოლიებ. დიაგნოზი მედიცინის სფეროში (ალბათ, სხვაშიც) მხოლოდ მონაცემების შემოწმებით და მათემატიკური გამოთვლებით არ დგინდება. დიდ როლს თამაშობს ბუნებრივი ალღო, ინტუიცია, შეგრძნების ორგანოთა სიმახვილე, მათი სისტემატური წვრთნა-ვარჯიში. ე.წ. „ფირმა-მანქანები“ ახალშემოსული იყო, როცა ჩემმა „ოპელმა“ ჯიუტობა დაიწყო. მოულოდნელად გაჩერდებოდა, ან გაჩერებულზე

აღარ იქოქებოდა. დაიწყო ჩემი უშედეგო მოგზაურობა ერთი სარემონტო ცენტრიდან მეორეში. მექანიზმებს შლიდნენ და აწყობდნენ. მანქანა ძველებურად აგრძელებდა სახედრის სიჯიუტეს. მერე ერთმა დალოცვილმა მიმასწავლა: ჯიქიას ქუჩაზე მიდი, ათ ნომერში, იქ ერთი ყმაწვილია, ფირმა მანქანებში კარგად ერკვევაო. მივედი, მოვუყევი ჩემი გასაჭირის ამბავი. დაქოქეო! დავქოქე. კაპოტი ახადეო! ავხადე. ნეტა ახალ სისულელეს რას მეტყვის-თქო, ვფიქრობ. ყური მიუგდო მოტორის ხმას და დიდხანს არ უფიქრია, მითხრა დიაგნოზი: „კალცოებია დამტვრეული!“ გავხსნათ-მეთქი. კი, ბატონო, გავხსენით: ოთხივე დამტვრეული იყო!

ეს ამბავი რატომ გავიხსენე? ალბათ, ხვდებით, მაგრამ მაინც ავხსნი: როგორც იმ ყმაწვილს შეუცდომლად ესმის ძრავის „სატკივარი“ მხოლოდ ერთი ყურისგდებით, დასტაქარ ჯუმბერსაც ხელეწიფება ზოგჯერ ერთი თვალის შევლებით, ზოგჯერ თითებით მანიპულაციებით და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ინტუიციით, მეექვსე გრძნობით, რაც ფუძედებულია სათანადო ცოდნით და უკიდეგანო, მრავალმხრივი პრაქტიკით, დასვას დიაგნოზი, რომელიც არასოდეს გამტყუნებულა.

მან კარგად იცის, რომ ქირურგის და გამნაღმველის შეცდომას ერთნაირი შედეგი მოსდევს.

ქირურგის სტატუსი

ვინაა ჭეშმარიტი ქირურგი? არა მხოლოდ სპეციალობით, არამედ მოწოდებით.

ქირურგი, ექსტრემალურ სიტუაციაში, კლინიკის გარეთ, სულ სხვა, არასათანადო გარემოში, არ უნდა დააფრთხოს სპეციალური ინსტრუმენტების არქონამ, „ნაღდი ქირურგი, – ბრძანებს საშა ბეთანელი, – ბურღავს დანით და თუ სხვა გზა არ არის, ჭრის ბურღით“.

პოლ ბრეგს, მსოფლიოში სახელდებულ ნატუროპათს, ტრადიციული მედიცინის უარმყოფელს, ერთადერთ საჭირო და შეუცვლელ დარგად ქირურგია მიაჩნია. ქირურგის თითებს

ვერავითარი ბუნებრივი, თუნდაც ეკოლოგიურად უაღრესად სუფთა, პროდუქტი ვერ შეცვლის, ქეშმარიტმა პროფესიონალმა ქირურგმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ადამიანის ანატომია და ნებისმიერი ორგანოს ფუნქცია და სტრუქტურა. ასეთი ცოდნის მფლობელ ქირურგს ძალა შესწევს, გამოუვალ სიტუაციაში ისეთი რამ მოახერხოს, რაც მანამდე ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდა.

ერთხელ, როცა ბატონმა საშა ბეთანელმა ნაღვლის ბუშტის რეზექცია დაამთავრა და ჭრილობა ამოკერა, პაციენტის გულმა მოულოდნელად შეწყვიტა პულსირება. ქირურგი არ დაბნეულა, ელვის სისწრაფით გაჭრა ძაფები, ხელით შევიდა გულმკერდის არეში და ფრთხილი მასაჟით გულს და, შესაბამისად, პაციენტს, სიცოცხლე დაუბრუნა.

ახლა რაც შეეხება ჩვენი „რომანის“ გმირს, ჯუმბერ ჩანტლაძეს, ამ კუთხით მასაც საკმაოდ მოეძევება მსგავსი, წინასწარ დაუგეგმავი, ვითარება.

ალჟირის ციცქნა ქალაქ სკიკდაში, სადაც იგი ორწელიწადნახევარი ქირურგობდა, თქვენ წარმოიდგინეთ, გინეკოლოგმეანის როლის შესრულება მოუხდა. გამოუძახეს ერთ-ერთ ოჯახში, სადაც ახალგაზრდა ქალს უეცარი მშობიარობა დაეწყო. როგორც ჩანს, მეანის ძებნის დრო აღარ იყო, ვინაიდან ჩვილს ხელი ჰქონდა გამოყოფილი საშოდან. აუტანელ ტკივილთან ერთად ყოველივე შეიძლება კატასტროფით, ქალის სიკვდილით, დამთავრებულიყო. წამები წყვეტდა ყველაფერს.

– სხვათა შორის, – ყვება ჯუმბერი, – მსგავსი შემთხვევა თბილისში მოხდა და ვიცოდი, ცნობილმა გინეკოლოგმა ბაქრაძემ როგორ გადაარჩინა მშობიარე ქალი. უკვე მკვდარი ნაყოფის პირდაპირი გამოწევას შეიძლება გაჭედვა მოჰყოლოდა და ქალი დაიღუპებოდა. ამიტომ სასწრაფოდ შევიდა, ნაყოფს თავი წააწყვიტა საგანგებო ინსტრუმენტით და საშო ნაწილ-ნაწილ გაათავისუფლა.

ეს კი ვიცოდი, მაგრამ სათანადო ინსტრუმენტი არ გამაჩნდა, არადა, ქალი საცაა უფალს ჩაბარდება. ეჰ, რაც იყოს, იყოს-თქო, ვიფიქრე, ხელით შევედი და ინსტრუმენტად მოკაკული საჩვენებელი თითი გამოვიყენე. ნაყოფი, ცხადია, მანამდეც უსიცოცხლო იყო. ქალი გადარჩა...

საერთოდ, უნდა გითხრა, რომ ამ პატარა ქალაქში სულ ორი ქირურგი მუშაობდა: მე და ფრანგი რიკო. ერთ შემთხვევას მო-

გიყვები. იქ მომსახურე ინგლისელის ვაჟი, კოლეჯის მოსწავლე, ცუდად გახდა. კლინიკაში დაწვენამ და ჩატარებულმა პროცედურებმა შედეგი ვერ გამოიღო. ბიჭის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. რიკომ მშობლის გარანტიის გარეშე ოპერაციაზე უარი განაცხადა. მე მომაკითხეს. როცა ავადმყოფს დავხედე და ანამნეზს გავეცანი, უმალ ვივარაუდე კაი ხნის გახეთქილი ბრმა ნაწლავი და მწვავე პერიტონიტი. ამას ზედ ერთვოდა ხანგრძლივი გაუვალობა. მუცელზე ხელის მიკარებაზე ბიჭი კიოდა. რიკოს მსგავსად მეც მშობლების ხელმოწერილი თანხმობა მოვითხოვე და თან გავაფრთხილე, რომ ოპერაციის გარეშე შეიძლება რამდენიმე საათში დაიღუპოს-მეთქი. ინგლისში რომ გადავაფრინოთო. ვერ ჩააღწევს-მეთქი. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და გადაწყდა ოპერაცია. რასაც ველოდი, იმაზე უარესი სურათი დამხვდა მუცლის ღრუში. საათზე მეტი ჩირქოვანი სითხის ამოწმენდას მოვუნდი. თეძოს ნაწლავი გარეთ გამოვუტანე, ორი დრენაჟი დავუტოვე, შემდგომი გამწმენდი პრეპარატებისათვის. დღე და ღამე თავს ვადექი. პერიტონიტი ჩავაქრე, მაგრამ გაუვალობა მაფიქრებდა. როცა გამოტანილი ნაწლავიდან გამოსული ხმა მომესმა, მომილოცავს, გადარჩენილია-თქო, მშობლებს ვახარე. რით გადაგიხადოთო, ლამის დამიჩოქეს. ფული მაძლიეს. ცხადია, ხელი არ მოვკიდე. უფლება არ მქონდა არც აღების და არც გარისკვის – ყოველ ნაბიჯს კაგებეს აგენტები მიკონტროლებდნენ. ინგლისში მიმიწვიეს. მე ვერ მოვახერხე, მაგრამ ჩემი სახელით ვინც კი ჩავიდა, ზედ გადაყვნენ. ამჟამად ის ბიჭი ლონდონში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს.

ქალაქიდან გასვლაზე მგონი, კონტროლი იყო დაწესებული, იქაური ხელისუფლების კი არა, კაგებეს მხრიდან. ერთხელ მაინც მოვახერხე მათი ნებართვით და ჩემი ფრანგული მანქანით, რომელიც ჩასვლისთანავე ერთი თვის ხელფასით ვიყიდე, უდაბნოში, ქალაქ გარდაიაში, სადაც ჭრელი ბაზრობა იმართებოდა, ორიოდე დღით ჩასვლა. ვიფიქრე, თვალს წყალს დავალევინებ, ყოველდღიურ მომქანცველ საოპერაციო და ამბულატორიულ პრაქტიკას გავერიდები და ცოტახნით მაინც დავისვენებ-მეთქი. პირველივე საღამოს სასტუმროს მენეჯერმა მომიკაკუნა. მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მაგრამ ექსტრემალური შემთხვევა გვაქვს, ერთი ფრიად საპატიო სტუმარი ცუდად გაგვიხდა, ტკივილებისგან იტანჯება და იქნებ გვიშველოთ, თქვენს ანკეტაში წავიკითხე, რომ ქირურგი

ალჟირი, სკიკდა 1973 წ.

ალჟირი, საჰარა 1974 წ.

ბრძანებულხართო. შენი აზრით, უარს ვეტყოდი? არა, ხომ? შევედი იმ პატიოსანი კაცის ნომერში. გაუთავებლად კვნესის. საზარდულზე იკიდებს ხელს. ოღონდ მიშველე და რაც გინდა, მთხოვეო. ფულს არ ვიღებ-მეთქი. მაშინ მანქანას გაჩუქებო. მანქანით ვარ-მეთქი. ამასობაში საზარდულს შევეხე და ვხედავ, ნაწლავია გაჭედილი, ტიპური თიაქარია. ამ საქმეს უოპერაციოდაც ეშველება-მეთქი. ცოტა გეტკინება, მოითმინე და მალე დაგიამდება-მეთქი. ამობურცულ ნაწლავს ფრთხილად დავაწექი, თანდათან მოვუმატე და თავის ადგილას დავაბრუნე. გაწამებულმა კაცმა მყისიერი შვება იგრძნო და მხურვალე მადლობა გადაუხადა ალაჰს. მეც, რა თქმა უნდა. დილით, ნომერში მეწვია, სავიზიტო ბარათი მომცა, აუცილებლად მეწვიე, უკვე მივემგზავრებიო. მე დავარიგე, ერთი-ორი თვე ბანდაჟის გარეშე ნუ ივლი-მეთქი. როცა წავიდა და შემოვბრუნდი, ვხედავ, სკამზე პაკეტი დევს. შიგ საკმაოდ სოლიდური ჰონორარი იდო. კი, დავიტოვე, აღარ გამოვეკიდე, სულელად რომ არ ჩავეთვალე.

სხვათა შორის, არსად ისეთი მოწიწება და დაფასება არ მიგრძვნია, როგორც სკიკდაში, ალჟირის ამ ცეროდენა ქალაქში. სადმე თუ მანქანების რაიმე მიზეზით გაჩერებულ კოლონაში აღმოვჩნდებოდი, როგორც საქარე მინაზე სამედიცინო ემბლემას თვალს შეავლებდნენ, რიგიდან გამომიყვანდნენ და ბოდიშს მიხდიდნენ.

ერთხელ, თევზაობისას, სათადარიგო საბურავი ამწაპნეს, ხმა არ ამომიღია, არც ძებნა დამიწყია. კლინიკაში კი ვთქვი, საბურავი მომპარეს-მეთქი.

საბურავი მოგპარესო?!

ფეხზე დადგა მედპერსონალი, მუნიციპალიტეტი, პოლიცია...

საბურავი ვინც მომიტანა, მთხოვა, ბატონო ექიმო, იქნებ ჩემი შვილები არ დააჭერინოთ, თავქარიანი ბავშვები არიანო.

რას ვიზამდი, მართლა ხომ არ დავაჭერინებდი.

ერთი, იმ დროისთვის ნიშანდობლივი რამ მაგონდება. სამნი ძმანი იყვნენ, გვარად ბელარები: იოსები, მაფუდი, ჰუსეინი. ერთი მათგანი, ჰუსეინი, ძლიერ დამიახლოვდა, საჩუქრები მოჰქონდა, ქალაქგარეთ სასეირნოდ მპატიჟებდა, ოჯახშიც მიწვევდა.

ლია, ჩემი მეუღლე, მაფრთხილებდა: ჯუმბერ, რაღაც გული მეუბნება, რომ ეგ კაცი ასე რომ გელაქუცება, ჩვენი, საბჭოთა კაგებეს შემორჩენილიაო. მე მეცინებოდა: რა კაგებე, რის კაგებე, ქალები გენეტიკურად ხართ ეჭვით დაავადებულები-მეთქი!



ალუირი, სკიკდა 1973 წ.



ჰუსეინის ოჯახში სტუმრობისაგან კარგახანს ვიკავებდით თავს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უარი აღარ გაგვივიდა და თავაზიანობის ვიზიტით ვეწვიეთ.

საოჯახო ალბომის თვალიერებისას ისეთ ფოტოს წავაწყდით, რომელმაც ლიას ირონიული ღიმილი და ჩემი იმედგაცრუება გამოიწვია: წითელ მოედანზე, მოსკოვში, სამთავრობო ტრიბუნის წინ, ავანგარდში იდგნენ ბელარები, სამივე ძმა!

ქირურგის თითები

– ჯუმბერ, გამიგონია, ქირურგისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ თითების მოქნილობის, სწრაფი მანიპულაციების უნარის, გარეშე მარტო თვალი და ცოდნა ვერ უშველისო.

– კი, ასეა. თითებს ბევრი რამ შეუძლია ისეთი, რაც საგანგებო ინსტრუმენტის საჭიროებას მოხსნის. ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა: ექსტრემალური ვითარებაა, კაცს წარმოუდგენელი ტკივილები ტანჯავს, ვერ ინძრევა, ვერ წვება, ვერ ჯდება, ვერ დგება, ოთხზეა ბაყაყის პოზაში და განწირული მზერით შემომყურებს. დაახლოებით ვხვდები, რაც უნდა სჭირდეს, მაგრამ მინდა დავრწმუნდე. უკნიდან მოვუარე, ფრთხილად გავუშიშვლე ზურგი და თითი ოდნავი მიკარებით ჩამოვატარე ხერხემლის ორივე მხარეს. ეგ არის, დისკოგენური რადიკულიტი!

რადიკულიტი ყველა საშინლად მტკივნეული და დისკომფორტულია, მაგრამ დისკოგენურთან დანარჩენი შემთხვევა ახლოსაც ვერ მივა. მოკლედ აგიხსნი: მალებს შორის დისკფირფიტებია, რომლებიც დიდი დატვირთვისას, ან მკვეთრი, უცაბედი, მოძრაობისას შეიძლება დაიძრას და მდებარეობა შეიცვალოს. ასეთ დროს მისი ახალი მდებარეობა ხელით ისინჯება. დისკოს თავის ადგილზე დაბრუნებას საგანგებო ამბულატორიული პროცედურები სჭირდება, მაგრამ პაციენტის ამ მდგომარეობაში ტრანსპორტირება ჯოჯოხეთურ ტკივილებთან იქნება დაკავშირებული. რაც იქნება, იქნება, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი, გამოწეული დისკოს ფრთხილად დავაწექი, თანდათან მოვუმატე და კინაღამ „ვაშა“ შევძახე, როცა ვერაგი დისკო თავის ადგილას

დავაბრუნე. კაცს ტკივილი ერთი ხელის მოსმით გაუქრა, მაგრამ წამოდგომას მაინც ვერ ბედავდა. ადექი-მეთქი! ნელ-ნელა გაიმართა: ვაა, არ მტკივაო! წაიღუნა, გაიმართა: ექიმო, მართლა არ მტკივაო! შეკუნტრუშდა! ექიმო, უარი არ მითხრა, მაგ თითებზე უნდა გაკოცოო!

ლოყა მივუშვირე, აბა, მართლა ხელზე ხომ არ ვაკოცნინებდი სულის მოძღვარივით!

ჰო! თითებთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება საშა ბეთანელის არ იყოს, როცა თვალი ვერ ამჩნევს, თითებმა უნდა იმუშაოს და აღმოაჩინოს. ბრმა ნაწლავის პრაექსტრემალურ, რიგით რეზექციას ვამზადებ. პაციენტი საოპერაციოშია. ჩემთან მოდის კოლეგა და მეუბნება: ჯუმბერ, მაგის მშობლები ჩემი ახლობლები არიან და ოპერაციის გაკეთება მე მთხოვესო. ოღონდ შენ გვერდით დამიდექიო. ბატონი ხარ-მეთქი.

გაკვეთა, მაგრამ ამოკვეთას არ ჩქარობს, როცა პაუზა კაიხანს გაგრძელდა, ანესთეზიოლოგი ანერვიულდა. რას შვრები-მეთქი – მეც ავნერვიულდი. რა ვქნა, ბრმა ნაწლავი ვერ ვიპოვე, ალბათ, არც აქვსო! რას ბოდიალობ-მეთქი, რას ჰქვია, არ აქვს? გადმოდი და ნახეო. დავხედე: მართლა არ ჩანს, მაგრამ თითებით ლორწოვანი საფარი მივწი-მოვწიე და ნაწლავს მიხორცებული აპენდიქსი გამოვათავისუფლე. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

ფოტოს ისტორია

ამ სურათთან საინტერესო მოგონება მაკავშირებს: ჯიმშერს, ამჟამად ცნობილ პროფესორს, არცთუ ისე ხანგრძლივი ქირურგიული პრაქტიკა აქვს, ოპერაციას იწყებს თირკმლიდან გამომავალ მილში გაჩხერილი კენჭის ამოსაღებად. საოპერაციოში რაღაც საქმეზე შევიარე და ჩემდაუნებურად ეკრანზე გაკრულ რენტგენის სურათს შევხედე. კენჭი ზედ საშარდე ბუშტის თავზეა გაჭედილი. როგორც იცი, ოპერაციამდე პაციენტს მუცლის ღრუს უსუფთავებენ, ღრმა ოყნას უკეთებენ. ასეთ დროს, ჭინთვის პროცესში, შესაძლებელია არცთუ ისე მოზრდილი კენჭი თავისთავად გამოვარდეს და შარდის ნაკადს გამოყვეს.

1975 ᵇ.

– ჯიმშერ, – ნახევრადხუმრობით მივაძახე, – მანდ ტყუილად ეძებ კენჭს, ჯობს უნიტაზში ეძებო-თქო!

ისე აგიხდეს ყველაფერი. როგორც მერე მითხრეს, გადაყვა იმ ცელქი კენჭის ძებნას, თან შენ გლანძღავდა, დროზე ვერ მითხრა, ეს პატიოსანი კაცი სულ ტყუილად ვჭერი და ვკერეო!

სხვათა შორის, ამის მერე დადგინდა: უშუალოდ ოპერაციის წინ კიდევ ერთხელ შემოწმდეს კენჭის ყოფნა-არყოფნა.

ქ-ნი ჟენია და კაგებეშნიკები

ბიძაჩემ ბორიაზე მინდა მოგიყვე, მამაჩემის ძმაზე. ომის დროს ტყვედ ჩავარდა. ომი რომ დამთავრდა და ჩამოვიდა, დაიჭირეს და ათი წლით გადაასახლეს. ცოტა ადრე გამოუშვეს და სოფელში რომ ჩამოვიდა, ქალაქი არ უყვარდა, ოდა-სახლი აღარ დახვდა: სოფლის ხელისუფლებას დაუშლია, ცენტრში გადაუტანია და შიგ თავისი კანტორა გაუხსნია.

გამწარებულმა ბორიამ რაიკომში იჩივლა: ჩემი სახლი დამიბრუნონ, იმავე ადგილას დამახვედრონ, სადაც იდგაო. ატყდა ერთი ამბავი, მოციქული მოციქულზე, დელეგაცია დელეგაციაზე. ბორიას ორჯერ მეტ ღირებულებას სთავაზობენ საკომპენსაციოდ. არამც და არამც: მე ჩემი ოდა-სახლი მინდა, სადაც დავიბადე და გავიზარდეო.

სახლი კი დაუბრუნეს, მაგრამ ბოღმით და შურისძიების ლტოლვებით დაიმუხტნენ. საახალწლოდ ბორია ბიძია თბილისს გვესტუმრა. ჟენია მაგარ ფაციფუცში იყო, საახალწლო სუფრას ამზადებდა. გოჭი გატკიცინებული შებრაწული შუა სუფრაზე იყო წამოწოლილი, საცივი გვერდს უმშვენებდა, აქეთ – ფხალეული, იქით – არომატული კუპატი, მუჟუჟი, დოქებით – ორნაირი ღვინო: წითელი და ქარვისფერი, გრაფინით – „ბუზის“ არაყი. მე და მამაჩემი ნარდს ვახაჭუნებთ. ბორია რაღაც პატარა საქმეზეა გასული და წუთი-წუთზე ველოდებით... მარლენი მწვადებზეა გამწესებული, ეზოში მაყალს აღვივებს.

იღება კარი და ბორია ორ წარმოსადეგ ვაჟკაცთან ერთად გვევლინება. ჟენიამ საქმე მიატოვა და სტუმრებს შეეგება:

მამასთან, ავთანდილთან და ოჯახის მეგობრებთან ერთად 1958 წ.

– ბორია, შენ გენაცვალე, ეს ვაჟკაცი ჩანტლაძეები რომ მომიყვანე, კაკო და ისიდორე... მობრძანდით, სუფრა გაშლილია, დაბრძანდით!

სტუმრები უხერხულად შეიშმუშნენ. ბორია რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. მე და მამაჩემმა დავინახეთ, რომ არც ერთი იყო ისიდორე და არც მეორე – კაკო, მაგრამ ვიფიქრეთ, ბორიას ჩვენთვის უცნობი მეგობრები არიან-თქო და აღარ ჩავეძიეთ. თანაც ჟენიას უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას მოვერიდეთ. ნარდი დავხურეთ და სტუმრებთან ერთად მაგიდის გარშემო მოვთავსდით. მალე მარლენიც შემოგვიერთდა შიშხინამწვადებიანი შამფურებით ხელში. სტუმრები ენაწყლიანი და მომლხენი ბიჭები აღმოჩნდნენ. მარლენს გიტარა და სიმღერა არ ეშლებოდა. როგორც იცი, არც მე. სტუმრების ბანმაც დაგვხატა. თერთმეტ საათზე წამოდგნენ, ახალ წელს ოჯახებში გვინდა მივუსწროთო. პირზე კოცნით გავაცილეთ.

– რა ხართ ეს ჩანტლაძეები, ერთი მეორეზე უკეთესები! – კმაყოფილი იყო ჟენია.

ბორიამ განზე გამიყვანა და ჩუმად მითხრა:

– მაგენი კაგებეშნიკები იყვნენ, ჩემ დასაჭერად მოსულები.

გახსენება

ჩემო ძამიკო, ჩემგან არ გესწავლება, ჩვენს ასაკში კაცი უმთავრესად უკან, წარსულში, იმზირება. აბა, წინ რას უნდა ხედავდე სახარბიელოს. წარსული ხომ ახალგაზრდობაა, უშრეტი ენერგია, ფერადი ოცნებები, სიყვარული, სიხალისე. წარსული დასახლებულია ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ადამიანებით. ზოგჯერ ისეთი ნოსტალგია მომაწვება,კურცხალს ვეღარ ვიკავებ.

სკოლის ასაკიდან დამეგობრებული სამი ადამიანი მინდა გავიხსენო: ანზორ ქუსრაშვილი, გერასიმე (გერსიკო) თავართქილაძე და ლევან კიკვიძე. სუფთა, უღალატო მეგობრები იყვნენ. მათ შორის, თავისი უჩვეულო ტალანტით თუ ბუნებისგან მომადლებული საკვირველი უნარით, ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა. დამახსოვრების დაუჯერებელი ნიჭი ჰქონდა. ახლა

ტელეშოუ „ნიჭიერში“, ან „X ფაქტორში“ მსგავსი უნარით დაჯილდოებული ადამიანი გამოჩნდეს, დარწმუნებული ვარ, კონკურსს გამარჯვებული დატოვებს. გატყობ, როგორ გეჩქარება გაგება, რა ტალანტზეა საუბარი. ლევანი ასეთ რამეს შემოგთავაზებდა: ჩამოწერე ასის ფარგლებში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, დაუკავშირებელი სიტყვები, ვთქვათ, ასეთი: ღრუბელი, გუთანი, ბროწეული, რევოლუცია, მეძავი, თამადა, პროსპექტი და ა. შ. ჩამოწერე? ახლა დინჯად წამიკითხე და ფურცელს საკონტროლოდ ადევნე თვალიო.

თავად თვალებს ზეაღაპყრობდა და დაიწყებდა ჩამოთვლას ზუსტად იმავე თანმიმდევრობით, ერთსაც არ გამოტოვებდა, ისე გავიდოდა ბოლოში, ასევეს ისე აკურატულად დაგისახელებდა, პირდაპირ ფურცლიდან მკითხველს გაუჭირდებოდა.

რამდენჯერ სანაძლეო მოგვიგია. ერთს გავიხსენებ.

სოხუმში ვარ, პრაქტიკაზე. მიჭირს, ჯიბეში თაგვები დასუნსულებენ. ჩემს სანახავად მოულოდნელად ჩამოვიდა ლევანი. პლაჟზე გაცნობილ ერთ ჯიბესქელ ბიძიას ლევანი გავაცანი და მის უჩვეულო ნიჭზეც ვუთხარი. არ მჯერაო, ასი არ მინდა, ორმოცდაათი სიტყვა გაიმეოროს და ყოველდღიური სუფრა ჩემზე იყოსო. როგორ გგონია, ლევან კიკვიძეს რამე შეეშლებოდა? გაგიჟდა ის პატიოსანი კაცი. კიდევ გაიმეორა ექსპერიმენტი. შედეგი იგივე იყო. გაიხარა, ჩვენ უფრო გავიხარეთ ყოველდღე გარანტირებულ, უხვ სადილს მივირთმევდით.

თამადა

ჯუმბერ ჩანტლაძე იმ შესაშურ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთანაც ყოფნისას ახლობლებსა და ნაცნობებს რომ თავი დავანებოთ, ახალგაცნობილიც თავს ისე იგრძნობს, როგორც დიდი ხნის ნაცნობთან. ჯუმბერი ლიდერია შინაგანად, თავისი ბუნებრივი ქარიზმით, არა თავსმოხვეულით, არამედ სიკეთით და ქველმოქმედებით გაჯერებულით. სადაც უნდა იყოს, ის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, იქ გამორიცხულია უხერხული პაუზები, მისი სიხალისე და ურთიერთობის სილაღე

კლასელების ყოველწლიური შეკრება 1975 წ.

გერსიკა თავართქილაძე და ლეუშა კიკვიძესთან ერთად 1971 წ.

ირაკლი ციციშვილის
ვარსკვლავის გახსნა 2011 წ.

გადამდებია. ჯუმბერი ყველგან თამადაა, მაგრამ არა პირდაპირი გაგებით. შეიძლება სუფრაზე სხვა თამადობდეს, მაგრამ თამადა მაინც ჯუმბერია.

როცა ხელოვნების მუშაკებს ზედიზედ გაუხსნეს ვარსკვლავები, ჯუმბერმა იკითხა: კი, მაგრამ მედიკოსებმა რა დავაშავეთო? პასუხად მიიღო: კომისია შევქმნათო. შეიქმნა კომისია, რომლის თავჯდომარედ სწორედ ჯუმბერ ჩანტლაძე აირჩიეს. უკვე ექვს ღვაწლმოსილ ექიმს გაუხსნეს ვარსკვლავი.

როცა ერთ მის კოლეგას ვკითხე: თავად ჯუმბერს არ ეკუთვნის ვარსკვლავი-მეთქი, იცით, რა მიპასუხა: ჯუმბერი თავადაა ვარსკვლავი და სტანდარტული ვარსკვლავის გახსნა ვერაფერს შემატებსო. ამიტომო, ჩემო კარგოო, ახლა ვფიქრობთ, როდის და რა ფორმით გავუხსნათ სუპერვარსკვლავიო!

სალაღობო სტროფები ჯუმბერს

არ ვიღვწოდი მოხვეჭისთვის,
რა მაქვს, ანდა, რა მქონია,
ასე „სკრომნად“ გამომზარდეს
ჟენიამ და აფთონიამ.

ოთხი შვილი მოავლინეს
მაღლა ღმერთის „ზედნადებით“:
მე, ჩემი ძმა: – მარლენიე,
გულსუნდა და დოდო – დები.

თუმც ვმღეროდი დიდ სცენაზე
წარმატებით, შესაშურით,
უყოყმანოდ მივატოვე,
მედინსტიტუტს მივაშურე.

დიპლომით ვარ პედიატრი,
პედიატრისავე ქმარი,
მერმე გავხდი უროლოგი,
საბოლოოდ – დასტაქარი.

გზები ვხეხე, რა არ ვნახე,
რა შპრიცები, რა აბები,
ერთხანს ალჟირს ჩავაკითხე,
ვჭერი – ვკერე არაბები.

დიდხანს ვთელე „ფრანციცული“
„ტაჩკით“ ქვიშა, ხრეში, კებით,
თან ფეხდაფეხ მაცილებდნენ
რუსი „კაგებეშნიკები“.

ჯამაგირის ნახევარი
მათ მიჰქონდათ, ვითომ „დოლგად,“
შხამად ერგოთ, მე ხომ მაინც
წამოვიღე ორი „ვოლგა“.

გასკდნენ ჭიპზე, მათ ჯინაზე
გავიხარეთ მე და ლიამ,
ალჟირელთა სიყვარული
ორდენი და მედალია.

მერე, როცა უცაბედად
გადაბრუნდა ეს ქვეყანა,
სიხარულმა ამიტანა,
ლამის ცაში ამიყვანა.

სამწუხაროდ, დღესდღეობით,
ვეღარა სცნობს ძაღლი პატრონს,
გულახდილად გეტყვით: ისევ
იმ ძველ, „დამპალ“ ხანას ვნატრობ.

კი, ის ჯანი აღარ მომდევს.
ქვიშა რჩებათ ძველ – ძველ ცოცხებს,
მსურს გაუწყოთ განაჩენი:
ერთხანს კიდევ წავიცოცხლებ!

ლერი ჩანტლაძე

ფოტო ალბომი

მშობლები: ევგენია მგალობლიშვილი და ავთანდილ ჩანტლაძე 1957 წ.

1959 წ.

მეუღლესთან, ლიანა სიხარულიძესთან ერთად 1961 წ.

1962 წ.

მეუღლესთან ერთად 1961 წ.

მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად 1998 წ.

ძმა მარლენი, დები დოდო და ლია

შვილები: ლალი და ინგა

მეგობრებთან ერთად

მეგობრებთან ერთად

ჯუმბერი შვილიშვილებთან – ნინო ახვლედიანთან და მარიამ აფხაზავასთან ერთად

თანამშრომლები – 2012 წ.

2013 წელი